პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 43-ე წელი | № 145 (12353) | პარასკევი, 22 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

21 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში“.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **რ. ფრუიძემ,** ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **უ. ცქვიტინიძემ,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **მ. ბღაუბამ,** საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ნ. გომელაურმა,** საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. შევარდნაძემ,** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. **მ. ღვინჯილიამ,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ა. თხილაიშვილმა,** საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **მ. ბრთაბერიძემ,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. **თ. ბუაჩიძემ,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ი. ჩიაევმა,** ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **პ. ცაგარეიშვილმა,** მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ამხ. **გ. შელიამ,** მარნეულის რაიონის უაჩაღანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **ა. ბასანოვმა,** ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. **გ. ქადაგიძემ,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **ი. სარიშვილმა.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

მიზნების ერთობა

სსრ კავშირის კომპარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოძმე რუმინეთში

ბუქარესტის მცხოვრებნი აღტაცებით მიესალმებიან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას.

ქალაქი ონეშტი (ბაკეუს ოლქი), 21 ივნისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ქიმიურ კომბინატ „ბორზეშტის“ მშრომელთა მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ნ. ჩაუშესკუმ.

ჩვენი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას, თქვა ნ. ჩაუშესკუმ, ძველი ტრადიციები აქვს. ისტორია მკაფიოდ მოწმობს ეკონომიურ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ კავშირს, რომელიც წარსულში ჩვენს ხალხებს შორის არსებობდა. ამჟამად რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას ახალი შინაარსი აქვს. მას საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების მიზნებისა და ინტერესების ერთობა, ორივე ხალხის ერთობლივი ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის.

ნ. ჩაუშესკუმ ილაპარაკა იმ დიდ გარდაქმნებზე, რომლებიც მოხდა მოლდოვაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების წლების მანძილზე.

საბჭოთა კავშირის წინსვლა კომუნიზმისაკენ ყველა ქვეყნის მშრომელებს იმედს უნერგავს და რწმენას განუმტკიცებს, მძლავრ გავლენას ახდენს ხალხთა შეგნებაზე, რაზმავს მათ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სიტყვის დასაწყისში ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მიტინგის მონაწილეებს გულთბილი შეხვედრისა და მეგობრული მასპინძლობისათვის, გადასცა მათ და რუმინეთის ქიმიური მრეწველობის ყველა მუშაკს საბჭოთა ხალხის გულითადი სალამი და ხაუკეთესო სურვილები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა რუმინელი ხალხის მიღწევებს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში, განსაკუთრებით ქიმიური მრეწველობის განვითარებაში. ბურუუაზიულ-მემამულური წყობილების დროს თქვენს ქვეყანას, თქვა მან, რომელიც მდიდარია ნავთობითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით, საკუთარი ქიმიური მრეწველობა არ ჰქონდა, საჭირო მოწყობილობას არ აწარმოებდა. ახლა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა არა მარტო საკუთარი საჭიროებისათვის აწარმოებს, არამედ სხვა ქვეყნებსაც აწვდის ნავთობისა და სხვა რთულ სამრეწველო მოწყობილობას და მთელი ჭარხნების კომპლექტურ დანადგარებსაც კი. რუმინეთის ქიმიურმა მრეწველობამ პროდუქციის გამოშვება შარშან 27 პროცენტზე მეტით გაზარდა 1960 წელთან შედარებით, ხოლო 1950 წელთან შედარებით — 8-ჯერ, სოციალისტურმა წყობილებამ რუმინეთი გამოიყვანა ეკონომიური უძრაობის მდგომარეობიდან. რუმინელი ხალხი ფართოდ სარგებლობს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის სიკეთით.

ეს წელზე მეტი ხნის წინათ კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა პირველად უჩვენეს კაცობრიობას მუშათა კლასის, როგორც ძველი ექსპლოატატორული წყობილების მესაფლავის, ისტორიული როლი, აღნიშნა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

რევოლუციის გამარჯვებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დაეუფლებიან იგი და მისი პარტია რევოლუციური ბრძოლის ყველა ფორმას, რამდენად არიან მზად სწრაფად და მოულოდნელად შეცვალონ ბრძოლის ერთი ფორმა მეორით. რა ფორმითაც უნდა მოხდეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, იგი შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის გზით, რევოლუცია კი კლასობრივი ბრძოლაა.

და ის დიდი შემოქმედებითი გმირობა, რასაც ახლა სოციალისტური ქვეყნების ხალხები ცხადყოფენ, ბრიდაპირი გაგრძელებაა რევოლუციური ბრძოლისა, რომელიც მათ დაიწყეს უკეთესი მომავლისათვის. ახალი სამყაროს შენებლობა ბრძოლაა და იგი მუშათა კლასისა და ყველა მშრომელიხალხის მოითხოვს მაღალ შეგნებას. ფართო გონებრივ ჰორიზონტს, რკინისებურ ნებისყოფასა და შეკავშირებას.

ჩვენ გვახარებს ის, რომ რუმინეთის მუშათა კლასი შრომის ფრონტზეც იჩენს ისეთსავე მაღალ ორგანიზებულობას, სპარძოლო სულისკვეთებას, როგორიც გამოიჩინა კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის მრისხანე წლებში. რუმინელმა ხალხმა თავისი პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში ააშენა სოციალიზმის ეკონომიური საფუძველი და ახლა წარმატებით ახორციელებს სოციალისტური მშენებლობის დამთავრების პროგრამას.

ჩვენი ქვეყნები, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, ფართოდ უზიარებენ ერთმანეთს მოწინავე გამოცდილებას. რუმინელმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, მაგალითად, საბჭოთა ქიმიური მრეწველობის მუშაკებს გაუზიარეს აცეტილენის მიღების ახალი მეთოდის შემუშავების თავიანთი გამოცდილება. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ უწევდა და უწევს დახმარებას რუმინეთს მოწყობილობითა და ტექნიკური დოკუმენტაციით ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის. სოციალისტური ბანაკის ძმურ ოჯახში თვითეული ქვეყნის მიღწევა საერთო მონაპოვარი ხდება. ჩვენ გულწრფელად გვინდა, რომ ჩვენს მეგობარს, სოციალისტურ რუმინეთს, ჰქონდეს თანამედროვე მაღალგანვითარებული ქიმიური მრეწველობა, რომ მისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი სწრაფად იზრდებოდეს და ვითარდებოდეს.

სოციალისტური ქვეყნების ხალხები, თქვა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, მტკიცედ მიდიან თავიანთი დიდი მიზნისაკენ — სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ, იბრძვიან დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ომი ჩვენს ქვეყნებს არ ესაჭიროებათ, ჩვენ მშვიდობა გვესაჭიროება.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ შეწყვეტონ გამძალებული შეიარაღება, შეიანელონ საერთაშორისო დაძაბულობა. ამ პირობებში სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განამტკიცონ თავიანთი ერთიანობა, თქვა სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ბუქარესტი, 21 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს და რომელიც რუმინეთში მოგზაურობს, დღეს დილით ჩავიდა ხუნედოარაში — შავი მეტალურგიის დიდ ცენტრში. დელეგაციასთან ერთად აქ ჩამოვიდნენ გეორგე გეორგიუ-დეჟი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

ხუნედოარის მცხოვრებლებმა აღტაცებული შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს.

საბჭოთა სტუმრები წავიდნენ კომბინატში, რომელიც ამჟამად რუმინეთის შავი მეტალურგიის ძირითადი ცენტრია. საბჭოთა სტუმრების ჩამოსვლის წინა დღეს ვაგაზე ათი დღით ადრე მწყობრში ჩადგა 400 ტონა ტევადობის ახალი მარტენის ღუმელი.

როგორც ჟჯერ პრესის სააგენტო იუწყება, ეს ასეთი ტევადობის მესამე თანამედროვე ღუმელია, რომელიც ექვსწლედში აშენდა აქ. წელს ხუნედოარის ექვსი ფოლადსადნობი ღუმელი გამოუშვებს ხუთჯერ და უფრო მეტ ფოლადს, ვიდრე წარმოებული იყო მთლიანად რუმინეთში 1938 წელს.

ხუნედოარა, 21 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, აგრეთვე გ. გეორგიუ-დეჟი, ი. გ. მაურერი, გ. აპოსტოლი, ნ. ჩაუშესკუ და სხვა რუმინელი ოფიციალური პირნი ეწვივნენ მეტალურგიულ კომბინატს, დაათვალიერეს ფოლადსამსხმელო და საგლინავი ჯარხნები.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა უფროს მებრძმედეს ტ. კარამალისს, მუშას ვ. ვერეშს, დიასახლისს ტ. კარდაშს, რომელიც ჭარხანაში მეუღლესთან მოვიდა, და სხვა მუშებს, დაინტერესდა მათი ცხოვრებითა და შრომითი წარმატებებით.

კომბინატის დათვალიერების შემდეგ საბჭოთა სტუმრები მივიდნენ სტადიონზე, სადაც მასობრივი მიტინგი გაიმართა. მიტინგი გახსნა რუმინეთის მუშათა პარტიის ხუნედოარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ფურდუიმ. მან ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს გადასცა ხუნედოარის მუშათა და ყველა მშრომელის მხურვალე სალამი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სოციალისტური შრომის გმირმა მეფოლადემ შ. ტრიბშამ, კომბინატის ბრძმედის წარმოების მთავარმა ინჟინერმა ი. დინუმ.

შეერებილნი გულთბილად შეხვდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. გ. მაურერის გამოსვლას.

შემდეგ მიკროფონთან მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრენი შეხვდნენ „ვაშას“ შეძახილებით, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით და მხურვალე მისალმებით.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვა შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეწყვეტინეს მჭუხარე ოვაციებითა და შეძახილებით რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, სსრ კავშირის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის მუშათა პარტიის პატივსაცემად.

ლუპენი, (ხუნედოარის ოლქი), 21 ივნისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტები **დ. ბოჩაროვი** და **პ. ტრავჩენკო** იტყობინებიან: ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, იყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდეს ქვანახშირის აუზში — ვალია ჟიულუიში.

საღამოს დელეგაცია მატარებლით გაემგზავრა კრაიოვაში.

მეცნიერული აზრის გამარჯვება

ლენინური პრემიის ლაურეატებს საპატიო ნიშნები და დიპლომები გადაეცათ

მოსკოვი, 20 ივნისი. (საკდესი). საყოველთაო სახალხო პატივისცემით არიან გარემოსილი ჩვენში ახლის შემოქმედნი — მეცნიერები, ინჟინრები, მუშები. ეს გამოიხატება, კერძოდ, იმით, რომ ტრადიციულად ანიჭებენ ლენინურ პრემიებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის.

დღეს კრემლში საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლენინური პრემიის ლაურეატის სპატიო ნიშნები და დიპლომები მოსკოვის მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა დიდ ჯგუფს.

ლაურეატებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში.

ლენინური პრემიებით აღნიშნულ მეცნიერულ გამოკვლევათა შორის ფართოდ არის წარმოდგენილი მათემატიკა. მეცნიერების ეს დარგი ახლა ხდება ცოდნისა და სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის ორგანული ნაწილი. საბჭოთა მათემატიკოსმა სკოლამ უდავოდ დაიკავა წამყვანი ადგილი მსოფლიო მეცნიერებაში. სვერდლოვის დარბაზში შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ ამ სკოლის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს აკადემიკოს ლ. ს. პონტრიაგინსა და მის კოლეგებს ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტიდან, რომლებმაც შეასრულეს ნაშრომების ციკლი ჩვეულებრივი დიფერენციული განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის თეორიისა და რხევის თეორიაში მათი გამოყენების დარგში. ჯილდო გადაეცა აგრეთვე გამოჩენილ მათემატიკოსს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ბ. მ. ლევიტანს.

დიდი გულთბილობით შეხვდნენ იმ შესანიშნავი ნაგებობის შემქმნელებს, რომელმაც დაამშვენა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი. კრემლის ყრილობათა სასახლეში თავიანთი შთაგონება და ოსტატობა ჩაანესოვეს არქიტექტორებმა და მშენებლებმა, აკუსტიკის სპეციალისტებმა და კონსტრუქტორებმა. დღეს მათ პატივს სცემენ აქ, გადასცემენ ჯილდოებს. აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა მიულოცა ამ დიდი მუშაობის ყველა მონაწილეს: ა. ა. ბრუშჩოვს, ი. მ. ბოლოტნიკოვს, ბ. გ. ბელკინს, ვ. ვ. ფურდუევს, მ. ვ. პოსოხინს, ა. ა. მნდოიანცს, გ. ნ. ლვოვს, ა. ნ. კონდრატიევსა და სხვებს.

დიპლომები და საპატიო ნიშნები მიიღეს ი. ლ. კაგანოვმა, გ. ვ. სერებრენსკიმ — კომპენსაციური ვერცხლისწყლის გამმართველი აგრეგატების გამოკვლევისა და დანერგვის მონაწილეებმა; ნ. ა. ბოგიელმა, ი. პ. კალინიკოვმა, პ. ა. ეგოროვმა, კ. კ. ივაშოვამ — ქალაქ კრასნოიარსკში მდინარე ენისეიზე ხიდური გადასასვლელის აგებისათვის; კ. ს. სელინს, ნ. მ. გლოტოვს, ვ. ი. კარპინსკის, ბ. პ. სოლოვიოვს, დ. გ. კოსტინსა და სხვებს. ლენინური პრემია მიენიჭათ ასაწყობი რკინა-ბეტონის ღრმადასაყრელი უკეთესო საძირკვლის შემუშავებისა და მშენებლობაში დანერგვისათვის: ს. ი. მალიშევს — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი აგრეგატის „400“ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში მონაწილეობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის პოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ინიციატივის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წამოწყება, რომლებმაც ითავეს სამუშაოდ გადავიდნენ ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

1962 წლის აპრილში ამ კოლმეურნეობის აგრონომებმა ამხანაგებმა შ. ბეჟანიშვილმა, გ. ორდენიძემ, ი. მემარნიძემ, ბ. მემარნიძემ, გ. ოსკანოვმა, ა. ბეჟანიშვილმა, ე. გაბრუაშვილმა, ი. სულხანიშვილმა, ე. ქათამაძემ, გ. ჩეკურიშვილმა და ზოოტექნიკოსმა შ. ჩეკურიშვილმა გამოიჩინეს პატრიოტული ინიციატივა და სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებს.

ახლა კოლმეურნეობის 14 საწარმოო ბრიგადიდან და ერთი მეცხოველეობის ფერმიდან 10 ბრიგადასა და ფერმას მეთაურობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებსაც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვთ, და სამ ბრიგადას — საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები. აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების უშუალოდ წარმოებაში გადასვლის შემდეგ მათი მუშაობა უფრო საგნობრივი და კონკრეტული გახდა.

გურჯაანის ტერიტორიული საწარმოო სამმართველო, რომლის ზონაში შედის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მოძრაობას ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ დასავლისათვის. სამმართველო აქტიურად ეხმარება სპეციალისტებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს გადავიდნენ უმნიშვნელოვანეს უბნებზე, სადაც წყდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბედი. თვენახევრის მანძილზე გურჯაანის საწარმოო სამმართველოს ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადების ხელმძღვანელად და ფერმების გამგეებად მუშაობა დაიწყო 105 აგრონომმა, ინჟინერმა, ეკონომისტმა, ზოოტექნიკოსმა და ვეტერინარმა ექიმმა.

ველისციხელ სპეციალისტთა თაოსნობას ფართოდ აშუქებს გაზეთი „სოფლის ცხოვრება“.

მოძრაობას ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების გადასვლისათვის გამოეხმაურნენ სხვა საწარმოო სამმართველოების სპეციალისტები, სულ რესპუბლიკაში ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ წავიდა სოფლის მეურნეობის დაახლოებით 300 სპეციალისტი, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ.

ველისციხელი აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების საშუალო რგოლის განმტკიცებისათვის, მას ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი და გავავრცელოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სპეციალისტთა პატრიოტული თაოსნობა და აღნიშნა, რომ გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველომ დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ ველისციხელ სპეციალისტთა ინიციატივა გაევრცელებინა სამმართველოს ზონის სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების პარტორგებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომსა და რაიაღმასკომებს, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს:

კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძისა“ და გურჯაანის სამმართველოს ზონის სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითისამებრ განამტკიცონ საწარმოო ბრიგადები და მეცხოველეობის ფერმები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნონ ბრიგადირებად და ფერმების გამგეებად აგრონომები, ინჟინრები, ეკონომისტები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარ ექიმები;

ყველა პირობა მოამზადონ იმისათვის, რომ ამ პატრიოტულ მოძრაობას განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიეცეს მიმდინარე სამეურნეო წლის დამლევისათვის, რათა 1963 წელს რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადებსა და ფერმებს სათავეში ედგნენ უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები. (საქდესი).

21 ივნისს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლუბენ ნ. სტოიანოვი. თბილისის აეროპორტში სტუმარს შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლე გ. ვაშაკიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი ზ. შოშიტაიშვილი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი თ. ონოფრიშვილი და სხვები.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი თბილისში

ლუბენ სტოიანოვი. თბილისის საერთაშორისო ტურისტული ბიურო ეწვია ბულგარეთის ელჩს, ეესტუმრა ბ. ბ. ბოლშაკოვს, ეესტუმრა ბ. ბ. ბოლშაკოვს, ეესტუმრა ბ. ბ. ბოლშაკოვ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

რაიკომი და სკოლა

ᲐᲮᲚᲘ თაობის აღზრდას, ჩვენი ღარსული ცვლის მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას რომ აქცევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ამის ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს „ეზოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონი“, რომელიც 1959 წელს მიიღო საბჭოთა მთავრობამ.

ამ კანონის საფუძველზე ზესტაფონის რაიონში მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების გარდაქმნა საწარმოო სწავლების სკოლებად. დღეისათვის ჩვენს რაიონში საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილია 9 საშუალო სკოლა 667 მოსწავლით. მეთთვის საქირო სასწავლო-საწარმოო ბაზების მოსაწყობად ბევრი რამ გაკეთდა ფერროშენადნობთა ქარხანამ და ქარხანა „საქაბელმა“. ამ ზრუნვის შედეგად ქალაქის № 1 და № 4 და რკინიგზის № 16 საშუალო სკოლების მოსწავლეებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა ზოგადტექნიკური და პროფესიული მომზადების მისაღებად.

შედარებით სხვა მდგომარეობაა სოფლის საშუალო სკოლებში. მათ არა აქვთ შესაფერისი სასწავლო-საწარმოო ბაზა და ამიტომ მოსწავლეები საწარმოო სწავლებას ძირითადად კოლმეურნეობებში გადიან.

ამ კლასების მოსწავლეები, რომლებიც გადაყვანილი არიან საწარმოო სწავლებაზე, არჩეული პროფესიის დაუფლებასთან ერთად უნდა იღებდნენ ფართო განათლებას, კარგად უნდა სწავლობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს, ეუფლებოდნენ მეცნიერებათა საფუძვლებს. სწავლების შეერთება საწარმოო შრომასთან, თუ ამას სწორად განვახორციელებთ, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მოსწავლეთა ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენმა სკოლამ მოამზადოს განათლებული ადამიანები, რომლებსაც ბრძენი რიგში კარგად ეცოდინებთ მეცნიერებათა საფუძვლები და ამასთანავე მომზადებული იქნებიან შრომისათვის.

თუ ხიმარილის თვალს გავუსწორებთ და გულახდილნი ვიქნებით, უნდა გავიაროთ, რომ ჩვენი რაიონის სინამდვილეში ასე არ არის.

ზოგან საწარმოო სწავლების ირსის ორასწორობა გაგებულ იქ გამოიწვია, რომ ოგი ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებში, თითქმის ძალიანად დაყვანილია მოსწავლეთა ფიზიკურ შრომამდე და შეიწყობარებულად გაბრაზლებულია. მოსწავლეები საწარმოო სწავლების სკოლის ნაკვეთზე ან კოლმეურნეობაში მამა-პაპური თიხით შემაბებენ და ძირითადად ვენახის მოვლა-მატრონობას სწავლობენ. ეს მათ კარგად შეეძლოთ ესწავლათ სკოლის გარეთ, საკუთარ ოჯახში, შშობლებთან.

ყველაფერი რიგზე არც ქალაქის სკოლებშია. ქალაქ ზესტაფონის № 1 და № 4 საშუალო სკოლების მოსწავლეები საწარმოო სწავლებას გადიან ფეროშენადნობთა ქარხანაში. აქ ისინი ცუდად როდი ეუფლებიან პროფესიებს, ბევრმა მათგანმა ქარხანაში დარჩენაც მოინდომა, მაგრამ ქარხანას ყველას მოწყობის საშუალება არა აქვს, რადგან ვიცოდით, რომ რაიონს არ დასჭირდებოდა ამდენი ზეინკლები და ხარატები, შარშანდ განვიზრახეთ მოსწავლეთა ნაწილისათვის შეგვესენებინა დურგლის სპეციალობა. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა: ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ქარხანას არ აღმოაჩნდა საამისო ბაზა, მეორეც, ეს მოითხოვდა დამატებით თანხებს, რომ პროექტიული მეცადინეობა დურგლებთან ცალკე ჩატარებულიყო.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ საწარმოო სწავლებიან სკოლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსწავლეთა ინტერესი მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისადმი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის, რომ მოსწავლეებმა რაც შეიძლება ფართო მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, მივესალმებით ისეთ ცოდნას, რომელსაც ხელშესახები პრაქტიკული დერეფლება აქვს. მაგრამ საწარმოო სწავლებამ არ უნდა გამოიწვიოს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დაქვეითება. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რაც აშკარად ჩანს ჩვენი რაიონის მაგალითზე. რაიონის სკოლებში მოსწავლეთა საშუალო აკადემიური წარმატება სასწავლო წლის მესამე მეოთხედში 84 პროცენტს ოდნავ აღემატება, ხოლო საწარმოო სწავლების სკოლებში — 78 პროცენტს ძლივს აღწევს. ქ. ზესტაფონის № 4 საშუალო სკოლის ქართულ სექტორზე გასულ სასწავლო წელს VIII კლასის მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 73,3 პროცენტს შეადგენდა. მომდინარე წელს, საწარმოო სწავლებაზე გადაყვანის შემდეგ, იმავე მოსწავლეების აკადემიური წარმატება 62 პროცენტამდე დაეცა. სასწავლო წლის მესამე მეოთხედში ამ სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 71,4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მე-11 კლასში — 69,2 პროცენტს. მსგავსი მაგალითების მოყვანა სხვა სკოლებიდანაც შეიძლება.

რაიონში ისეთი სკოლებიც არის, სადაც საწარმოო სწავლების კლასებში აკადემიური წარმატება მაღალია, მაგრამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლით ირკვევა, რომ მაღალი მაჩვენებლები „მოწეულია“. მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასებით. თუ თავს დავანებებთ ფორმალურ მხარეს — აკადემიური წარმატების პროცენტულ მაჩვენებლებს და გავსინჯავთ მოსწავლეთა ფაქტიურ ცოდნას საწარმოო სწავლებიან სკოლებში, ყველგან არასახარბიელო სურათს დავინახავთ.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის უბრალესი მიზანი უნდა იყოს არა მარტო ეიწრო სპეციალობის დაუფლება, არა ხელოსნობის შესწავლა, არამედ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების აღზრდა. შრომისადმი სიყვარულის დანერგვა. ამის მისაღწევად სასურველი იქნება ნაცვლად ამჟამად გამოყოფილი ორი დღისა საწარმოო სწავლების სკოლებს გამოეყოს ორ დღეს ორ-ორი საათი, და ისიც სკოლის სასწავლო სახელოსნოებში. ამით თავიდან აციცილებდით მოსწავლეთა გადატვირთვას მორგენებიანი შრომით და მნიშვნელოვნად შეეფუფყობდით ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ წლებში ბევრი გაკეთდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით. კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობითა და სახსრებით აგებულ იქნა ახალი სასკოლო შენობები ლაჯანურის, ფუთის, კლდეეთის, სანაბშრისა და რკვითის შვიდწლიანი, ბოსლეევის, აჯამეთის, მეორე სვირის დაწყებითი სკოლებისათვის. რეკონსტრუქცია გაეკეთდა და ახალი სასკოლო ოთახები მიუშენდა პირველი სვირის, ძირულის, შორშის, დილეკოურის საშუალო, პირველი სვირის, ტაბაკინის, წევის, შორაპნის, ტყლაპეკის შვიდწლიან და სხვა დაწყებით სკოლებს. მაგრამ რაიონის სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა მოთავსებულია დიდი ხნის წინათ აგებულ შეეფერებელ ბინებში, ზოგიერთ მათგანში ორ ცვლად მეცადინეობის პირობებშიც კი არ ხერხდება ოთახების გამოყოფა სასწავლო კაბინეტებისათვის, სახელოსნოსათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ბოსლეევის და სახაფოს საშუალო სკოლებში. ისინი მოთავსებულნი არიან ვიწრო და ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობებში. ადგილობრივი სახსრებით ამ სკოლებისათვის ახალი შენობების აგების საშუალება არ არსებობს. კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის განათლების სამინისტრო გაითვალისწინებს ამ სოფლებში ტიპური სასკოლო შენობების აგებას.

რაიკომის მხრივ მრავალი ღონისძიების მოგარების მიუხედავად, დღემდე ნელი ტემპით მიმდინარეობს შვიდწლიანი სკოლის შენობის მშენებლობა სოფელ ქვეთა საჭარაში. მშენებლობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს. ეს ვადა მტკიცედ უნდა დაიცვას სამშენებლო ორგანიზაციამ.

რაიონის სკოლებში ბევრი რამ კეთდება აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. მოსწავლეთა აღზრდა სასკოლო მუშაობის ისეთი რთული უბანია, რომ მარტო სკოლა საკუთარი ძალებით მას თავს ვერ გაართმევს. ჩვენ ვცდილობთ გავზარდოთ მშობელთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში. პირველადი პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებენ მოსწავლეთა ოჯახებს, ეხმარებიან მშობლებს ბავშვთა აღზრდაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ საკითხს მუხელობის საგნად ხდიან, რაც სასურველ შედეგს იძლევა. პარტიის რაიკომი, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით პერიოდულად ამოწმებს აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას ცალკეულ სკოლებში და ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს.

აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მიერ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას. გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს მოსწავლეები ხშირად უსაქმოდ ატარებენ, დადიან საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში, სადაც ზოგიერთები არღვევენ წესრიგს ან ზედმეტად იღლებიან მოუწესრიგებელი სპორტული თამაშობით. ამ არასასურველი მოვლენების თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის მოწესრიგებას. პარტიის რაიკომი დაინტერესდა ამ საკითხით და აღმოჩნდა, რომ კლუბგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა მოიცავდა ქალაქის სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ ვიწრო წრეს. მოსწავლეთა ძირითადი მასა დატოვებული იყო უყურადღებოდ, მაშინ, როდესაც ერთეული მოსწავლეები ზედმეტად იყვნენ გადატვირთული. მაქსიმალური ნაყოფიერებით არ იყო გამოყენებული სკოლის გარეშე მუშაობის ისეთი მძლავრი კერები, როგორიც არის სპორტსკოლა და პიონერთა სახლი, სკოლებში ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა წრეობრივი მუშაობა, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკები ზოგჯერ შეუფერებელ წიგნებს აწვდიდნენ მოსწავლეებს, სუსტად მუშაობდნენ აგრეთვე მოსწავლეთა ორგანიზაციები.

რაიკომის ბიუროს სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ საკითხი ქალაქის სკოლებში კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და დავსახეთ კონკრეტული ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

წინა წლებისაგან განსხვავებით მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებში მხოლოდ სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები ტარდება. სხვა კლასების მოსწავლეების შემდგომ კლასებში გადაყვანა კი წლიური ნიშნების საფუძველზე ხდება. ეს გარემება კიდევ უფრო აძლიერებს სკოლების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობას. პარტიის რაიკომმა გათვალისწინა ეს და სპეციალურად შეისწავლა საკითხი გამოცდებისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ გამოცდებისა და სასწავლო წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრებისათვის ყველა სკოლამ არ იმუშავა მთელი პასუხისმგებლობით. კვალითის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის ბაბილზე სუსტად ისწავლებოდა მთელი რიგი საგნები, ამიტომ მოსწავლეებს არა აქვთ მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა. ასევე დაბალია მოსწავლეთა ცოდნა სადგურ სვირის, სოფლების მეორე სვირის, ძირულის და ბოსლეევის საშუალო სკოლებში, პედაგოგიური კოლექტივები კი სუსტად მუშაობენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ᲐᲮᲚᲐ მთავარია ახალი სასწავლო წლისთვის მზადება. საკითხი განხილულ იქნა რაიკომის ბიუროს სხდომაზე. ცალკეულ ორგანიზაციებს მიეცათ კონკრეტული დავალება სკოლებისადმი დახმარების შესახებ. № 1 საშუალო სკოლისათვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა აგებს სასწავლო სახელოსნოს შენობას, № 3 საშუალო სკოლის შენობას მიუშენდება ახალი საკლასო ოთახები და სპორტდარბაზი, რკვითის შვიდწლიანი სკოლის შენობას დაუშენდება მეორე სართული, პირველი სვირის შვიდწლიან სკოლას სანერგის საბჭოთა მეურნეობა გადასცემს ოთხოთახიან შენობას, სამტრესტის ზესტაფონის ქარხანთმმართველობა შეაკეთებს და საკლასო ოთახებს მიუშენებს მუშა-ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლის შენობას. განზრახულია კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების და სასკოლო ბიბლიოთეკების შევსება 55 ათასი შანდოის ხელსაწყო-იარაღებით და ლიტერატურით, მიღებულია ზომები ზამთრისათვის საჭირო სათბობით სკოლების დროულად მომარაგებისათვის.

პარტიის რაიკომი მტკიცე კონტროლს დაწესებს ამ სამუშაოთა მიმდინარეობაზე. უზრუნველყოფს მათ განუხრელად შესრულებას და 1962-1963 სასწავლო წლის ნორმალურ პირობებში განახლებას.

პ. სახეჩიძე.
საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

მკურნალის გული

ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘᲡ ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს წიწვიანი ტყეებით დაფარულ ფერდობზე განლაგებულია ლიკანის სანატორიუმის ვეებერთელა კორპუსები.

ზამთარ-ზაფხულ მომხიბლავია კურორტი ბორჯომი.

ლიკანის სანატორიუმში ერთდროულად ისვენებს და მკურნალობს 620 კაცი. ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ დამსვენებლები კუჭ-ნაწლავის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

სანატორიუმის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა დამსვენებელთა გულითადი ჩანაწერებით. ვისაც კი დაუსვენია აქ, ძლიერად უარძვნია ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისება, მისი ცხოველმყოფელი ძალა.

სიტყვამ მოიტანა და სანატორიუმის მთავარ ექიმს პავლე კაპანაძეს ვკითხე, ყველაზე მეტად რით ამაყობს თქვენი კოლექტივი მეთქი. მან გაიღიმა და მიპასუხა: — ასობით ადამიანთა მადლობით.

* * *

ᲘᲡ მოხდა შარშან.

შემოდგომის წყნარი ღამე იყო. ნაშუადამევს ორმოცდამეოთხე პალატაში ხმაური ატყდა. ვიღაც ცუდად გამხდარიყო. მაშინვე იქ გაჩქდა მორიგე ექთანი. ერთ-ერთ დამსვენებელს ძლიერი პირღებინება დამართოდა, სისხლისაგან იცლებოდა.

გამოცდილი ექთანი ნინო ზერეკიძე მაშინვე მიხვდა, რაზეც იყო საქმე. მორიგე ექიმს შეატყობინა.

პალატაში შემოვიდა თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალი.

— პროფუზული სისხლის დენაა, — გადაულაპარაკა ხმადაბლა ექთანს და ინსტრუმენტის მოტანა დაავალა.

ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე მოელოდა.

ელნათურის შუქზე კარგად ჩანდა ექიმის შეწუხებული სახე. მას პირველად უხდებოდა ასეთ შემთხვევაში ჩარევა, მაგრამ არ დაბნეულა.

ხაჭირო იყო ზომების მიღება პირღებინების შესაწყვეტად.

ლოგინზე წამომჯდარი ავადმყოფი ექიმმა უმალვე დააწვინა და კუბის არეში ყინულის პარკი დაადო.

მზად იყო ხსნარები, შპრიცი...

ექიმმა ვენა მოუძებნა ავადმყოფს. ჯერ კალციქლორატი შეუყვანა, მერე ნემსგამოუღებლად იმავე ადგილას მიპერტონიული ხსნარი შეუშვა, კუნთში კი „ვიკასოლი“ გაუკეთა.

პირღებინება აღარ გამეორებულა. ავადმყოფს გაუჭირებება დაეტყო.

თენდებოდა. ავადმყოფს ჩაეძინა. ექიმმა კმაყოფილებით დატოვა პალატა. ახლა კი იმაზე უნდა ეზრუნა, რომ დაკარგული სისხლი სწრაფად აღედგინათ მისთვის. ავადმყოფს სისხლი გადაუსხეს.

მთავარი ექიმის მოადგილეს სამედიცინო დარგში ვიქტორ მახათაძეს ეს ამბავი დილითვე მოახსენეს. მან დეწერილებით გამოიკითხა, თუ რა დახმარება გაეწია ავადმყოფს. ყველაფერი სწორად და დროულად იყო გაკეთებული. მახათაძემ ეთერ ათენელიშვილს მადლობა გადაუხადა.

რა დაავიწყეს ბოლოს ტომოსოვას ეთერის სიკეთეს. იგი კუბის წყლულით იყო დაავადებული. სანატორიუმიდან გასვლისას მას ტკივილები აღარ აწუხებდა.

ასე გახდა ახალგაზრდა ექიმი ეთერ ათენელიშვილი ქალაქ ორჯონიკიძიდან (ჩრდილოეთ ოსეთი) ჩამოსული დამსვენებლის სტუდენტ ტომოსოვასათვის ახლობელი და ძვირფასი.

* * *

ექიმი ეთერ ათენელიშვილი ლიკანის სანატორიუმის პირველი კორპუსის სამედიცინო განყოფილების გამგეა. პრაქტიკულ მუშობასთან ერთად იგი სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა. ცვლილებანი კუბისა და თორმეტგოჯრა ნაწლავის წყლულით დაავადებულ ავადმყოფთა ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაში სანატორიულ-კურორტული მკურნალობის დროს — ასეთი თემა აურჩევია მას სადისერტაციო ნაშრომისათვის.

ექიმმა ... თემა რომ ... — ... ჩემზე რამის თქმას, მაშინ აუცილებლად მოიხსენიეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსანდრე ბაკურაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შალვა ფარჯანიძე, რომელთა კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით ვამზადებ სადისერტაციო შრომასო.

ათენელიშვილი სიყვარულით გვიყვებოდა თავის კოლეგებზე, კოლეგატივზე, რომელშიც მუშაობს.

— ექიმმა ციხანა ჯულელმა, — გვითხრა მან, — ექსპერიმენტული დაკვირვებებით დაადგინა, რომ ბორჯომის წყლით მკურნალობა ბევრად უკეთეს შედეგს იძლევა, თუ მისი მიცემის აქამდე დადგენილ ერთჯერად დოზას (150-200 გრამი მინერალური წყალი) გავაორმაგებთ — 300-400 გრამს დავალევინებთ. ამ აზრის სისწორე პრაქტიკამაც დაადასტურა.

ან აიღეთ მეორე მაგალითი. წინათ დამსვენებელს, რომელსაც ჰქონდა კუჭის ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთება მაღალი სიმჟავიანობით, ხშირად ბრძანდებოდა ... ...

გუშინ მაიაკოვსკის სამშობლოში

საქართველოში რუსული პოეზიის დეკადის ყოველი დღე სავსეა ახალი შეხვედრებით, ახალი შთაბეჭდილებებით. ზეიმობს რუსული ლექსი და ქართული გული. ახლა საქართველოში პოეზიის, სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის ბეშმარიტი დღესასწაულია.

დეკადის მონაწილეები საქართველოს რაიონებში მოეზაურობას განაგრძობენ. უნდათ ამ ათ დღეში რაც შეიძლება მეტი ნახონ, უფრო ახლოს გაიცნონ საქართველოს კულტურული წარსული, ეწვიონ მრავალ ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილს, თავიანთი ლექსებით ესაუბრონ მშრომელ ხალხს და კიდევ უფრო გაალრმავონ ჩვენი ხალხების მეგობრობა.



გუშინ ადრე დილით დეკადის მონაწილე რუსი და ქართველი პოეტები თბილისიდან დასავლეთ საქართველოსკენ გაემართნენ. სტუმრებთან ერთად არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე ი. ს. ჩერნოუცანი. გადასერეს ქართლის ზეგანი, „გადალახეს" ლიხთ-იმერეთის ზოს, ა. მეუიროვს, ო. შესტინსკის, ა. ტარკოვსკის, ი. ფონიაკოვს, ი. მორიცს, ს. ვასილიევს. აქ არიან აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ...ნაშუადღევს დაბა მაიაკოვსკში (ყოფილ ბაღდადში) შეჩერდნენ სტუმრები. აქ ხანისწყლის ნაპირზე დგას სახლი, სადაც დაბადა და ბავშვობა გაატარა რევოლუციისა და საბჭოთა ეპოქის უდიდესმა და უნიჭიერესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. ბაღდადის მცხოვრებენ შთაბეჭდილებათა წიგნში, სადაც უკვე არა ერთი და ორი აღტაცებული სტრიქონია ჩაწერილი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. შემდეგ ისევ ეზოში გამოდიან. აქ იმართება გულთბილი საუბარი პოეტის თანამედროვეებთან. მათ შორის არიან ვლადიმერ მაიაკოვსკის მამის ახლო მეგობრები ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული კოლმეურნეები ი. დემეტრაძე, გ. გოქსაძე, ა. რობაქიძე, პოეტის სიყმის მეგობარი, ამჟამად პენსიონერი სერაფიონ რობაქიძე. რუსი პოეტი ალექსანდრე ტვარდოვსკი მათთან ერთად სურათებს იღებს.

დამთავრდა დეკადის მეექვსე დღეს ალმოს ძვირფასი სტუმრები ქუთაისს ეწვივნენ.

• • •

სურათზე: ვიქტორ ბოკოვი, ალექსანდრე ტვარდოვსკი და ილია ფონიაკოვი მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში. ფოტო კ. ჩარგეიშვილისა.

სემგზერ უსმანი

სემგზერ უსმანს საბჭოთა მკითხველი იცნობს, როგორც დასავლეთ აფრიკის მოწინავე პროზაიკოსს და თანამედროვე სენეგალური ლიტერატურის პროგრესული მიმდინარეობის წამყვან ფიგურას. მის კალამს ეკუთვნის რომანები „სენეგალის ვაჟიშვილი", „ღვთის ჩხირები" და სხვ. გვთავაზობთ სემგზერ უსმანის ნოველას.

□ □

ვ ე ღ უ რ ი

ნ ო ვ ე ლ ა

ქალბატონმა თქვა:

— ჩვენ საფრანგეთში ვბრუნდებით და შენ, დიუანა, თან წაგიყვანთ.

დიუანა ახალგაზრდა აფრიკელი გოგონაა, რომელიც დაკარის კოლონიელი მოხელის ოჯახში ძიძად მუშაობს. მეტად აღფრთოვანებულია და მოუთმენლად ელის საფრანგეთში გამგზავრებას.

საფრანგეთში გამგზავრებისათვის კი საჭიროა პასპორტის გაფორმება, რომელიც დადასტურებს, რომ იგი მდინარე კაზამანის ნაპირებზე, სენეგალში დაიბადა. გაფორმებაში დიუანამ მთელი თავისი დანაზოგი გადაიხადა. მერე რა მოხდა! „მე საფრანგეთში მივდივარ!"—ღიღინებდა პაწაწინა ძიძა.

დიუანა საფრანგეთის ნახვაზე ოცნებობდა, ის ხომ ერთ-ერთი შესანიშნავი ქვეყანაა. საფრანგეთზე მღერიან, სალამაზეს უქებენ, სიმდიდრეს, ყველა სიკეთეს. იქ სწრაფად შეიძლება გამდიდრება. დიუანას ჯერ აფრიკის მიწა-წყლიდან ფეხი არ მოეცვალა და თავისი თავი უკვე უკან, შინ დაბრუნებულად წარმოიდგინა. მისი ჩემოდანი გატენილი იყო ახლობელი მეგობრებისათვის ჩამოტანილი საჩუქრებით.

ამასობაში ქალბატონი თავის სამშობლოში გატარებულ უკანასკნელი შვებულების დღეებს იგონებდა. კოლონიაში ის დაჩვეული იყო ებრძანებინა შინამოსამსახურე აფრიკელებისათვის. საფრანგეთში კი ეს იმით დაიწყო, რომ იძულებული გახდა ერთი მოსამსახურისათვის გაცალებით მეტი გადაეხადა, ვიდრე კოლონიაში მთელი მომსახურე პერსონალისათვის. ამასთანავე გოგო მოითხოვდა, რომ ადრე გაეშვათ და გამოსასვლელი დღეებიც ზუსტად დაეცვათ, რაზედაც აფრიკელები კრინტსაც ვერ დასძრავდნენ. არა, გეთაყვა, ამჯერად ქალბატონი უფრო ტკვიანურად მოიქცევა, შინამოსამსახურეს აქედან წაიყვანს.

სამი წელიწადი იმუშავა დიუანამ თავის ქალბატონთან და მთელი ეს დრო ქალბატონი მეტად მოქნილად და შემპარავად ცდილობდა დიუანას საფრანგეთში გატყუებას...

— მტვირთავები ჩამოვიდნენ? — ნერვიულად იკითხა ბატონმა.

— ორს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, აქ იქნებიან. ჩვენ მარსელში ჩავალთ და ჩვენი ბარგიც სწორედ იმ დროისთვის მოვა იქ. ჩვენი ძიძის ბარგიც უნდა გავაყოლოთ.

— დიუანა, ახლა გისაღილებთ და მერე შენი ბარგის მოსატანად წახვალთ...

საღილის დროს მაგიდას ახალგაზრდა აფრიკელი ბიჭი გმსახურებოდა. ის უხმაუროდ, ციბრუტივით უვლიდა მაგიდას. აფრიკელმა მზარეულმა მთელი თავისი ცოდნა და უნარი მოახმარა, რომ ბატონებისთვის გამგზავრების წინ კიდევ ერთხელ მეერთმია გემრიელი საკმელი. ქუჩას ფიცხლად დასტრიალებდა; ოფლში გაწურულს ერთი საზრუნავი ჯონებიდან მაინც არ შორდებოდა და მწარედ ოხრავდა: ჩემი ბატონები გიემგზავრებიან, მე კი უმუშევარი დავრჩები. და ძიძას შერით შენტროდა: რა ბედნიერი გოგოა, საფრანგეთში მიდის!

— ნუ ჯავრობ, მოხუცო, ჩვენ კიდევ ჩამოვალთ აქ, — ანუგეშა ბატონმა. — შენ გემრიელი საკმელის დამზადების ისეთი დიდი ნიჭი გაქვს, რომ სამუშაოს მალე იშოვნი.

— მაგრამ სიმბო თავის თავს ილუზიებით არ კვებავდა. ბატონისთვის სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია... დაკარი უმუშევრებით არის სავსე...

ავტომობილანი ასფალტზე მისრიალებდა. დიუანა აღფრთოვანებული იყო. ბარგისთვის ხომ თვითონ ბატონს მიეჯაჭა! მზად არის უყვიროს ყველა გამვლელს: „მე საფრანგეთში მივდივარ! ჯიან, ჯიან, საფრანგეთში!"

როდესაც დიუანას ნათესავების სახლის წინ მანქანა შეჩერდა, მას ეწყინა კიდეც და გაიფიქრა: ნუთუ უკვე მოვედით? ასე მალე?

საცოდავად წახრილი ლატაკი სახლის გვერდით სამიკიტნო „ბხიარული მეზღვაური" გაბლავთ. ნაწილი მაგიდებისა ტროტუარებზეა დადგმული; მეშტრები ლუდით სავსე ტოლჩებიან მაგიდებს მისხდომიან და მშვიდად საუბრობენ.

— შენ, ჩემო ძმისწულო, მაშ მიდიხარ ღიუს და სამუდამოდ გვეთხოვები? — მაგიდიდან ბარბაცით წამოდგა მთვრალი, უსუფთოდ ჩაცმული აფრიკელი.

ეს გახლდათ დიუანას ბიძა, ტიკ კორეა — ყოფილი მეზღვაური, იმედით აღსავსე ოცი წლის წინათ ბედნიერების საძებნელად ევროპაში რომ გაემგზავრა და იქიდან ისეთი განადგურებული დაბრუნდა, თითქოს დამსხვრეული გემის ნაგლეჯია. გაიქცა განძის შესაძენად, ხოლო იქიდან ლიტრანინისადმი გინუსაზღვრელი სიყვარულით დაბრუნდა. ახლა მან შესანიშნავად იცის ცხოვრების ავანჩავანი და აღარაფერი სჯერა...

ტიკ კორეამ დიდუნა თავი და მანქანის სარკმელში შეიკვრეტა:

— საფრანგეთში ოცი წელი ვიცხოვრე. ვიცი რა არის იგი... ყველაფერი ვიხილე... მე წინააღმდეგი ვარ დიუანა საფრანგეთში წამოვიდეს!

— ჩვენ ძალით არ მიგგყავს, ის თავის ნებით მოდის! — ბრაზიანად მიუგო თეთრმა.

უკვე მესამე თვეა, რაც დიუანა საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ გაკრა სამხრეთ აფრიკელი გოგონას სიმკვირცხლე! ის სიცილს გადაეჩვია. თვალები ჩაუცვივდა, ზეზეურად ჩამოხმა, აქ გაცალებით მეტს მუშაობდა, ვიდრე აფრიკაში, სამის მაგიერობას სწევდა. საფრანგეთმა, მშვენიერმა საფრანგეთმა, ოცნებასავით იმ დროს ჩაუქროლა, როცა მგზავრობის დროს ზღვის ნაპირებზე მიჰქროდა. მას ხელო ჩამავდარი, საოგარაკო ბაღი, მეზობელ ვილების ცოცხალი ღობეები, ხეებში ჩამალული სახლების სახურავები შერჩა.

ქალბატონი და ბატონი კი მეტად ხშირად მიდიოდნენ სადღაც, დროს სატარებლად. ოთხივე ბავშვს მარტო დიუანას ანებარა ტოვებდნენ.

უფროსი ბიჭი, განებივრებული ონავარი, თავის ტოლებთან ხშირად „გაბედულ კოლონიურ მკლეკვარს" თამაშობდა. დიუანა მათთვის შეკაზინანი „ველური გოგო" იყო. ისინი მას ერთ წუთსაც არ ასვენებდნენ.

დიუანა დღედადღე ფნებოდა. თავს უმწეოდ, უქონლად თვლიდა. ეჩვენებოდა, თითქოს მოწამლული ბალიში სუნთქავდა.

სანუკვარი საფრანგეთი, მომხიბლავი იმედები, ყოველდღიური სამწარე, დამცირება — ყველაფერი ეს გოგონას აზროვნებაში უწესრიგოდ აირია. აქ ის ...ნაშუადღევს დაბა მაიაკოვსკში (ყოფილ ბაღდადში) შეჩერდნენ სტუმრები. აქ ხანისწყლის ნაპირზე დგას სახლი, სადაც დაბადა და ბავშვობა გაატარა რევოლუციისა და საბჭოთა ეპოქის უდიდესმა და უნიჭიერესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. ბაღდადის მცხოვრებენ შთაბეჭდილებათა წიგნში, სადაც უკვე არა ერთი და ორი აღტაცებული სტრიქონია ჩაწერილი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. შემდეგ ისევ ეზოში გამოდიან. აქ იმართება გულთბილი საუბარი პოეტის თანამედროვეებთან. მათ შორის არიან ვლადიმერ მაიაკოვსკის მამის ახლო მეგობრები ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული კოლმეურნეები ი. დემეტრაძე, გ. გოქსაძე, ა. რობაქიძე, პოეტის სიყმის მეგობარი, ამჟამად პენსიონერი სერაფიონ რობაქიძე. რუსი პოეტი ალექსანდრე ტვარდოვსკი მათთან ერთად სურათებს იღებს.

დამთავრდა დეკადის მეექვსე დღეს ალმოს ძვირფასი სტუმრები ქუთაისს ეწვივნენ.

Ш. ჯაბახაძე.

სურათზე: ვიქტორ ბოკოვი, ალექსანდრე ტვარდოვსკი და ილია ფონიაკოვი მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში. ფოტო კ. ჩარგეიშვილისა.

ნახ. ი. კალაძისა.

• • •

ყველას მაგგრობას სწევდა: მზარეულიც იყო, ოთხი ბავშვის ძაძაც, მრცხაოვიც, დამლაგებელიც...

ბავრაზე ქალბატონის დაც ჩამობრძანდა. დიუანა მეად ადამიანს უვლიდა. მაშსად წავიდა საფრანგეთი? სად გაკრა ზღაპრული ქალაქები, სათნო ადამიანები, რომლებსაც, დაკარში ფრანგულ ფილმებს გატაცებით რომ უყურებდა, აღტაცებაში მოჰყავდათ გულუბრყვილო გოგონა.

ქდემამოსილი ქალიშვილის ოცნება ნათელ და ფართო ჰორიზონტებზე მირაქევით გაქრა. მას დაემატა კიდევ ერთი რამ, რაც ყველაზე მეტად დეფორმაციებდა [illegible] ... ბავშვის ... ბატონ ... ბავშვებს. [illegible] ... ბავშვებს. [illegible] ... ბავშვებს. [illegible]

ახალი ამბები

სილამაზის ოსტატების დათვალიერება

საუბარი ქართული ხალხური ცეკვების რესპუბლიკური ეიურის თავმჯდომარესთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტ ილიკო სუხიშვილთან

ქორეოგრაფიული ხელოვნება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ისტორიულად ვითარდებოდა, მდიდრდებოდა და იხვეწებოდა.

ქართველი ხალხი ფაქიზად და სიყვარულით ინახავს და უფრთხილდება ქართული ცეკვის საუკეთესო ტრადიციებს.

ამჟამად ჩვენში მრავალად არიან ქორეოგრაფიული ხელოვნების ენთუზიასტები, რომლებიც სწავლობენ ჟამთა სრბოლით მოვწყვეტილ ცეკვებს, ცალკეულ ილეთებს, ქორეოგრაფიულ ნახაზებს, შეძლებისდაგვარად აღადგენენ და ახალ სიცოცხლეს აძლევენ მათ. ამის არაერთი მაგალითი უჩვენებიათ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე ჩამოსულ თვითმოქმედ ანსამბლებს.

დღეს საქართველოს ყველა რაიონში ღრმად ფესვგადგმულია ქართული ცეკვა. არსებობენ თვითმოქმედი ანსამბლები, სადაც მრავალად იზრდებიან ცეკვის შესანიშნავი ოსტატები.

სწორედ ასეთი საუკეთესო მოცეკვავე-შემსრულებლების გამოვლინებასა და ხალხურ შემოქმედებაში მარგალიტებად გაბნეული ქართული ქორეოგრაფიული ელემენტების შეკრება-გავრცელებას ისახავს მიზნად ქართული ხალხური ცეკვების რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც პირველად ეწყობა საქართველოში.

საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების და საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ეს ინიციატივა უდავოდ მისასალმებელია.

კონკურსის დასკვნით ტურამდე, რომელიც 24 ივნისს სპორტის სასახლეში გაიმართება, ადგილებზე რაიონებში მოეწყო შერჩევითი ტურები, რომლებშიც ასობით ინდივიდუალური შემსრულებელი მონაწილეობდა და ბევრმა მათგანმა კონკურსის საბოლოო ტურის „საგზური" მოიპოვა.

კონკურსის ეიურიმ გაითვალისწინა იმათი სურვილიც, ვინც სხვადასხვა მიზეზით მონაწილეობა ვერ მიიღო შერჩევით ტურებში და უფლება მიეცა კონკურსის ნინადღეს დილის 10 საათიდან გაიაროს წინასწარი გასინჯვა.

მონაწილეთა შორის არიან პროფესიული და თვითმოქმედი მოცეკვავე ქალები და ვაჟები 16 წლის ასაკიდან. კონკურსი ეწყობა ცეკვა „ქართულში" და მთიულურ ცეკვებში (სოლო, დუეტი, ტრიო). დამეგბულია რამდენიმე ცეკვაში მონაწილეობა. მაგალითად, ცეკვა „ქართულში" და მთიულურ ცეკვაში ეს იქნება სოლო, დუეტი თუ ტრიო.

მდიდარია კონკურსის გეოგრაფია. წარმოდგენილია განაცხადები ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, სვანეთიდან, გორიდან, თელავიდან, მახარაძიდან, ზუგდიდიდან და სხვ.

მონაწილეთა შეფასება იწარმოებს ათბალიანი სისტემით და გამარჯვებულნი გამოვლინდებიან კონკურსის დამთავრების შემდეგ იმავე დღეს.

დაწესებულია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და მათს მფლობელებს მიეკუთვნებათ ქართული ხალხური ცეკვების რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატის წოდება.

მედლების რაოდენობა წინასწარ განსაზღვული არ არის და, მაგალითად, შეიძლება ერთსა და იმავე ცეკვაში ოქროს მედლის მფლობელი რამდენიმე მონაწილე გახდეს.

კონკურსში გამარჯვება თავისებური რეკომენდაცია იქნება სახელმწიფო ანსამბლებისათვის.

ორი დღეც, და ქართული ცეკვის ცეკვლი დაინთება სპორტის სასახლის მოედანზე.

წარმატება გუსურვოთ კონკურსის მონაწილეებს!

„მოდა პოლსკა" თბილისში

მოგწონთ ეს მოდები?

უკვე ხუთი წელიწადია, რაც პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მოდელიერებს მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ისინი ყოველ ზაფხულს აწყობენ გაცვლით ვიზიტებს, უჩვენებენ ახალ, ლამაზ, ორიგინალურ მოდელებს, რომლებიც მოსახლეობის ფართო ფენების ცხოველ ინტერესს იწვევს. პოლონეთის მოდელების სახლი „მოდა პოლსკა" ცნობილია არა მარტო პოლონეთში. მას თავისი მოდელები უჩვენებია გერმანიაში, ეგვიპტეში, ფინეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა ქვეყნებში. „მოდა პოლსკა" საბჭოთა კავშირის ხშირი სტუმარია, სამხრეთის ქალაქებში კი არასოდეს ყოფილა და აი ახლა კარგი მარშრუტი აქვს: თბილისი-სოხუმი - სოჭი-მოსკოვი.

გუშინ ფილარმონიის სახაფხულო თეატრში პოლონელმა მოდელიერებმა პირველი გამოსვლა მოაწყეს. დარბაზი ხალხით არის გაჭედილი, უკრავს საესტრადო კვინტეტი, და დიქტორი ლ. ბუგაევა, რომელსაც მოფიქრებულ, გონებამახვილურად მიჰყავდა მთელი პროგრამა, აცნობს დამსწრეთ პოლონური მოდელების ისტორიას, ახასიათებს მანეკენებზე ჩაცმულ ტანსაცმელს, მის ხარისხს, კერვის მანერას, შეხამების გარე სამყაროსთან. ტანადი და ლამაზი მანეკენები აჩვენებენ სახაფხულო მსუბუქ, ყოველდღიურად სახმარ კაბებსა და კოსტიუმებს. ფერების სიმრავლე: ვარდისფერი, წითელი, ღუჯი, ხშირია ფერების კომბინაცია, კომბინაცია. ქალის ქვედატანი აუცილებლად ვიწროა, წელზე ფართო ქამრით. დამსწრეთა უყრადღება მიიპყრო კოსტიუმმა, რომელიც თეთრი სელისაგან არის შეკერილი, მას მუხუდოს შავი წინწყლები აქვს, წელზე ლაქის ფართო ქამარი. ამ კოსტიუმზე დიდ, კაბის ფერ მრგვალ ქუდს ატარებენ.

მაყურებელთა წინაშე გამოდის ვაჟი მანეკენი. იგი უბრალოდ, სადად აჩვენებს მოდელებს და საერთო სიმპატიას იმსახურებს. მისი კოსტიუმები გამოირჩეოდა შესანიშნავი ხარისხით, კერვის მაღალი კულტურით. მამაკაცის ყველა კოსტიუმი — იყო ეს საქმიანი კაცის კოსტიუმი. სამუშაო თუ საღამოს კოსტიუმი, ხასიათდება ერთი ნიშნით — პიჯაკი ყველა ერთბორტიანია შარვალი კი, როგორც წესი, უყიშო.

განსაკუთრებული მოწონება ხვდათ საექსპერიმენტო და საპლაჟო კოსტიუმებს. საექსპერიმენტო ქალთა სამოსის თავისებურება ის არის, რომ მისი შეკერვა შეუძლია ყველა ქალს სამოსის თარგის სისადავის გამო. შავ სადა კაბაზე, რომელიც დიდი ღილებით იკვრება, მანეკენებმა ექესი კომბინაცია მოახდინეს. ნაჩვენები იყო სხვადასხვა ფერის საცურავი კოსტიუმები და ზღვის ნაპირას სასეირნო ხალათები.

პოლის პოლონელმა მოდელიერებმა აჩვენეს საღამოს კაბები.

მოდების ჩვენების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა „მოდა პოლსკას" დირექტორს ზბიგნევ ოლშევსკის. მან თქვა:

„მოდა პოლსკას" მოდელები დიდი პოპულარობით სარგებლობს და მრავალ შეკვეთასაც ვიღებთ. ქალებს მოსწონთ ჩვენი მოდები, ამიტომ ყოველთვის ვადევნებთ თვალყურს მოდების ცვლას. თქვენ ახლა ნახეთ, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ლამაზად. ჩვენი ვაჟი მანეკენის გამოსვლა პირველია საბჭოთა კავშირში. აქამდე მამაკაცი მანეკენი არ გვყოლია. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო გულთბილი შეხვედრა, რომელიც თბილისელებმა მოგვიწყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: მოდების დემონსტრირების დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ქრონიკა

□ **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო თეატრმა სეზონის უკანასკნელ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გოლდონის „დიასახლისი". სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა, მხატვრულად გაფორმა დ. თავაძემ, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ო. გორდელმა.

მთავარ როლებში მონაწილეობდნენ ე. მანჯგალაძე, მ. ჩახავა, რ. ჩხიკვაძე, ლ. ღამბაშიძე, ს. ისნელი, ნ. მარგველაშვილი და სხვ.

□ **მისათვრა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში საგასტროლოდ ჩამოვიდა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. მათ საგასტროლო რეპერტუარში აქვთ სპექტაკლები „მხოლოდ შენ ერთს", „ორი ქალიშვილი", „მეკარე", „სამი უფროსის მსახური", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „სიმღერა თბილისზე" და სხვ.

□ **ჩოხატაური.** (საკ. კორ.). ამ დღეებში სახალხო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა წარმოადგინა კ. დოღონაძისა და შ. ინასარიძის პიესა „მამის მკვლელი".

დადგმა განახორციელა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. მგელაძემ. როლებში მონაწილეობენ მსახიობები რ. ბერძენიშვილი, მ. გიორგაძე, ზ. კაკელიძე, ვ. ჩხიკვაძე და სხვები.

ი. ი. მელქაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სამხატვრო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ილია იაკობის-ძე მელქაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული, ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„რსდმ ბოლშევიკურ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. ი. მელქაძისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ROKUELI KENTI DA SAKARTVELO

საბჭოთა ადამიანები ძალიან კარგად იცნობენ გამოჩენილ ამერიკელ მხატვარსა და მწერალს, მშვიდობისათვის მებრძოლს, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს როკუელ კენტს. 21 ივნისს, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობრის 80 წლისთავის დღეს, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მისი ნაწარმოებების გამოფენა. ექსპონირებულია 75 ნამუშევარი. მათ შორის არის ილუსტრაციები რ. კენტის რომანისა „ეს ჩემი საკუთარია", შეპარდის „პოლ ბენიანისა", ბოკაჩიოს „დეკამერონისა", შექსპირის პიესებისა „ატუზაური არაფრის გამო", „რიჩარდ III," „ვინძორის ცელქი ქალები", „რომეო და ჯულიეტა" და სხვა.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ეცნობიან გამოფენას, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდება.

1960 წელს, საქართველოში ყოფნის დროს, როკუელ კენტმა აღნიშნა: ქართულმა ხელოვნებამ მომხიბლა. ეს ჭეშმარიტად ხალხური ხელოვნებაა. ჩემი შთაბეჭდილება ასეთია — აყვავებული საქართველოს ბაღები და ვენახები არა მარტო ნაყოფს ისხამენ, არამედ ბედნიერებას ანიჭებენ ადამიანებს. ამ მხრივ საქართველოს ბუნება და ქართული ხელოვნება ძალიან გვანან ერთმანეთს. ხელოვნება, რომელიც არ განადიდებს ხალხს, რომელიც არაფერს არ მატებს ადამიანთა გულსა და სულს მკვდარი, უნაყოფო ხელოვნებაა. ჩემს ქართველ კოლეგებს შთაგონებას აძლევს ხალხის ცხოვრება და ისინი მთელ თავიანთ შემოქმედებას ხალხს უძღვნიან.

ცნობილი ამერიკელი მხატვრის ეს მაღალი შეფასება ძვირფასია ქართველი ყალმის ოსტატებისათვის. საქართველოს სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, რომელიც ახლო იცნობს ამერიკელი მხატვრის შემოქმედებას, საბჭოთა კავშირში ამჟამად მყოფი როკუელ კენტის 80 წლისთავის დღეს უსურვა მას ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი.

(საქდესი).

ROKUELI KENTI SAMKHATVARO AKADEMIIS SAPATIO WEVRIA

მოსკოვი, 20 ივნისი. (საქდესი). ადამიანის სახლი იქ არის, სადაც მისი მეგობრები არიან, — ეს სიტყვები ამერიკელმა მხატვარმა რ. კენტმა წარმოთქვა მოსკოვში ჩამოსვლისას და დღეს გაახსენდათ მათ, ვინც ესწრებოდა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას. აქ ბევრი თბილი და მეგობრული სიტყვა ითქვა.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იყო: რ. კენტის დამტკიცება სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრად. აკადემიის პრეზიდენტმა ბ. იოგანსონმა ილაპარაკა შესანიშნავი რეალისტი-მხატვრის შემოქმედებაზე, მასზე, რომ როკუელ კენტი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ღირსეულად ატარებს პროგრესული სახვითი ხელოვნების, კაცურ-კაცობის, ადამიანის სიყვარულის დროშას. მის მოწოდებად გადაიქცა ხალხის სამსახური, მეგობრობისა და მშვიდობის იდეალების ქადაგობა. რ. კენტის შემოქმედება განუყოფლად დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, იგი უაღრესად ხალხური, მამაცური და პოეტურია.



როკუელ კენტი.

როკუელ კენტის ხელოვნება საოცრად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია: წიგნის გრაფიკოსი, ოსტატურად და გულში ჩამწვდომად გვიხატავს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა შინაარსსა და სტილს, ბევრი წიგნის ავტორი, არქიტექტორი, მოგზაური — ასეთია მისი შემოქმედებითი დიაპაზონი.

კენტი ჩვენი თანამებრძოლი, ჩვენი მეგობარი და მოკავშირეა და აკადემიის საპატიო წევრად მისი არჩევის აქტი იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი მხატვრული საზოგადოებრიობა მხარს უჭერს და იწონებს მის შესანიშნავ მოღვაწეობას.

ბ. იოგანსონის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ს. გერასიმოვმა, ს. კონენკოვმა, ვ. კემენოვმა, დ. შმარინოვმა, ი. კოლპინსკიმ, ო. ვერეისკიმ და ა. ზამუშკინმა. როკუელ კენტი ერთხმად არჩეულია სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრად.

PETROSIANI TU KERESI?

გროსმაისტერი ი. ავერბახი კუნძულ კიურასაოდან იტყობინება:

საჭადრაკო მარათონის მონაწილენი ფინეთში გავიდნენ, მაგრამ ჯერ კვლავ გაურკვეველი რჩება, თუ ვინ მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის უფლებას. ცხადია მხოლოდ ერთი — ეს მოჭადრაკე უთუოდ საბჭოთა გროსმაისტერი იქნება.

უკანასკნელ ტურებში ლიდერთა სამეულს ერთი მეტოქე ჩამოსცილდა. ეს არის გროსმაისტერი გელერი, რომელმაც ფინეთშინ წაიბორძიკა, წააგო პარტია ფიშერთან და მნიშვნელოვნად გაიუარესა მდგომარეობა. გელერის წარუმატებლობას წარუმატებლობა მოჰყვა. დაკარგული ქულის ასანაზღაურებლად იგი ზედმეტ რისკს ეწეოდა 25-ე ტურის პარტიაში ფილიპთან, თამაშობდა აშკარა მოგებაზე და როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება, არასახარბიელო პოზიცია მიიღო. გადადებულ პარტიაში გელერის მდგომარეობა თითქმის უიმედოდ.

ამრიგად, ლიდერთა ჯგუფს მხოლოდ ორი მოჭადრაკე შერჩა — ტიგრან პეტროსიანი და პაულ კერესი. ამიტომ ამ ორი გროსმაისტერის შეხვედრას 25-ე ტურში ჭადრაკის მოყვარულები უეჭველებელი ინტერესით მოელოდნენ. ბევრი ძძაფრ ბრძოლასა და გართულებებს ბოელოდა, მაგრამ მეტოქეებმა თავი აარიდეს რისკს, აირჩიეს მშვიდი გზა და ფე-15 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ორივე მოჭადრაკეს კიდევ ჩასატარებელი აქვს სამ-სამი პარტია. პეტროსიანი უნდა შეხვდეს ბენკოს, ფიშერსა და ფილიპს, კერესი — ბენკოს, ფიშერსა და გელერს. სწორედ ამ პარტიებმა უნდა გადაწყვიტოს პირველობის საკითხი.

25-ე ტურის მესამე პარტია კორჩნოისა და ბენკოს შორის თანაბარი ბრძოლით ხასიათდებოდა. გადადებულ პარტიაში პოზიცია საყაიმოა.

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს ექსჩემპიონი ტალი ავადმყოფობის გამო გამოეთიშა ტურნირს, ამიტომ ამ დღეს მისი მეტოქე გროსმაისტერი ფიშერი ისვენებდა.

რა მდგომარეობაა 25 ტურის შემდეგ? პეტროსიანსა და კერესს თექვსმეტ-თექვსმეტი ქულა აქვთ, გელერს — 15 ქულა და 1 გადადებული პარტია, ფიშერს — 12,5 ქულა, კორჩნოის — 12 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბენკოს — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ტოლედოს საჭიდაო ხალიჩებზე

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი ტოლედო ორი დიდი ასპარეზობის ცენტრი გახდა. გუშინ აქ დაიწყო მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. სამი დღის შემდეგ ბრძოლაში ჩაებმებიან კლასიკური მოჭიდავეები. 25 ქვეყნის 250-ზე მეტი სპორტსმენი გამოვა საჭიდაო ხალიჩაზე, რათა აჩვენონ თავიანთი ოსტატობა, იბრძოლონ ჭიდაობის გვირგვინისათვის, საპრიზო ადგილებისათვის.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ ოქროს მედლებისათვის მებრძოლთა რიგებში ვხედავთ გასული ჩემპიონატის გმირებს, რომლებმაც საერთო მოწონება დაიმსახურეს იოკოჰამაში (იაპონია) გამართულ პირველობაზე. მაგალითად, ირანის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ვხედავთ შარშანდელ ხუთ ჩემპიონს. ესენი არიან — მაბიბი, სეიფფური, სანადკარანი, ტახტი, სავარაბადი.

არანაკლებ ძლიერი გუნდები ჰყავთ წარმოდგენილი თურქეთს, იაპონიასა და სხვა ქვეყნებს, რაც შეეხება საბჭოთა კავშირის გუნდებს, მათ სპეციალისტებისა და ეურნალისტების აზრით პირველობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტებად თვლიან.

ჩემპიონატის მონაწილენი ცხოვრობენ ტოლედოს უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. შეჯიბრება დაიწყო გვიან საღამოს ამავე უნივერსიტეტის „ფილდ ჰაუზის" სპორტულ დარბაზში. ჩატარდა პირველი წრის შეხვედრები.

სამი პენალტი ერთ მატჩში

მონტევიდეო, 20 ივნისი. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნებმა — ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა, როცა ჩილიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მონტევიდეოში ამხანაგური მატჩი გამართეს ურუგვაის ნაკრებთან.

ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს მასპინძლებმა. მეორე ტაიმში დაინიშნა სამი პენალტი — ორი ჩეხოსლოვაკიის გუნდის კარში, ერთი — ურუგვაელთა კარში. სამივე განაღდებულ იქნა. მატჩის საერთო ანგარიშია 3:1 ურუგვაელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

407 OPERACIA VERTMFRINAVSHI

მოსკოვი. უბედურება დაატყდა თავს მწვალავ მარიამ კ-ს ოჯახს. ოღის სამი საათი იქნებოდა, მარიამი სასადილოდ სუფრას აწყობდა და თან იმაზე ფიქრობდა, თუ საღამოს რა უნდა გაეკეთებინა. უცებ მთელ სხეულში საშინელი სასუსტე იგრძნო. გამოუძახეს სოფლის პოლიკლინიკის ექიმს კ-ს მდგომარეობა მალე გაუარესდა და მას ალარ გაუგია ექიმის დიაგნოზი:

— საშვილოსნოსგარე ორსულობა. საჭიროა სასწრაფო ოპერაცია ან...

სასწრაფო ოპერაცია. მაგრამ სად და ვინ უნდა გააკეთოს? მეურნეობიდან უახლოეს საავადმყოფომდე ოცდაათი კილომეტრია, ქალაქ კრასნოიარსკამდე — ასზე მეტი. ყველა გზა დაფარულია ღრმა თოვლით. როგორ მოიქცნენ?

— ვერტმფრინავს უნდა გამოვუძახოთ, — თქვა ექიმმა, — ჩვენს განკარგულებაშია სამნახევარი საათი.

35 წუთის შემდეგ ვერტმფრინავი მი-4, საოპერაციოდ მოწყობილი, კრასნოიარსკის სანიტარული სადგურიდან გამოფრინდა. მანქანა მოაყვდა ვიაჩესლავ ცბანინს.

კიდევ საათნახევარი, და ვერტმფრინავი მარიამ კ-ს სახლის მახლობლად დაეშვა და მიიღო ავადმყოფი. საპაერო გემის ვრცელ კაბინაში ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. იგი გააკეთა კრასნოიარსკის სანიტარული სადგურის ქირურგმა, რსფსრ დამსახურებულმა ექიმმა ა. კოკორკინამ. მის ასისტენტებად იყვნენ სადგურის უფროსი ქირურგი ბენიამინ არონოვი და ექიმი-ანესთეზიოლოგი ესთერ პახოტნიკოვა.

ეს იყო კოკორკინას 407-ე ოპერაცია. 1942 წელს ირკუტსკის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მან მუშაობა დაიწყო კრასნოიარსკის საპაერო სასწრაფო დახმარების სადგურში. მას შემდეგ ანა კოკორკინამ ჰაერში ორი ათას საათზე მეტი დაჰყო, მოახდინა 559 გაფრენა 233.723 კილომეტრი საერთო მანძილით.

არაერთხელ მოუხდა ექიმს ლექციების წაკითხვა რაიონებში, საჩვენებელი ოპერაციების გაკეთება, კონსულტაციის გაწევა ახალგაზრდა ექიმებისა და ექთნებისათვის.

ოპერაციის შემდეგ მარიამი იმავე ვერტმფრინავით კრასნოიარსკის საავადმყოფოში მიიყვანეს, საიდანაც 12 დღის შემდეგ ჯანმრთელი გაეწერა.

სააგენტო „ახალი ამბები".

ჯოჯოხეთის მანათობლები

გაიანე ოვანოვა და გიორგი მანველოვი ერთმანეთთან ისე იყვნენ შეწყობილნი, როგორც ბოთლი და ჭიქა. მართალია, ერთი დისპეტჩერი იყო, მეორე — მდივან-მემანქანე, მაგრამ სულიერი და-ძმობა ჰქონდათ, და-ძმობა რვალზე უმაგრესი და ქვითკირზე გამძლე.

ოჯდა გაიანე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სანბნაო განყოფილების მისაღებ ოთახში და უკაკუნებდა რემინგტონზე. კაკ... კუკ.., გამჭრნდა კაკა-კუკი საბეგდ მანქანას, დარბოდნენ თოთები ღილაკებზე, გონება კი სხვაგან იყო, სულ სხვაგან. ხან მადლობის ბრძანებას გადაბეჭდავდა გაიანე, ხან საყვედურს, ხან მითითებას... ერთი თვითონ იყო გუგულივით, არც საყვედურით აწუხებდა ვინმე, არც შენიშვნებით. დროდადრო კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილების დიპეტჩერი გიორგი მანველოვი შემოუქროლებდა ოთახში, რაღაც ჩურჩულ-ბუბუტს გაბამდნენ, მაგრამ ამისათვის არც შინაარსა და არც გარეულს ყურადღება არ მიუქცევია.

სინამდვილეში კი გიორგისა და გაიანეს საკუთარი კლეენტარა ჰყავდათ: ან რა დალევს ქვეყნად ბრიყვსა და ბნელ ბილიკით მოსიარულს.

... ოქტომბრის საამო საღამო იყო, ლილი აგაბაბიშვილს გაიანე ოვანოვამ ალერსით რომ გამოსდო მკლავში ხელი და. რუსთაველის პროსპექტს შეუყვნენ.

— მაშ, ჩემო ლილი, ბინა გჭირდება?

— მჭირდება და მერე როგორ! ბოიცი, ჩემო გაიანე, არც თავს დავზოგავ, არც ფულს ოღონდ რამე მომიხერხე...

— გენაცვალოს ჩემი თავი, ფული იყოს, თორემ... ხომ გაგიგია ქართამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ახლა უფულოდ ხელს ვინ გაანძრევს...

— შენ, ბმალი და ჩემი კისერი!

— ისეთი ბინა გიშოვნო, მელიქ-აზარიანცი შურით საფლავში გადაბრუნდეს!

ლილი აგაბაბიშვილი, ისე შევიდა აზარეში, ისე მიმყვა გაიანეს საამო „ულურტულს", რომ უკვე ახალმოსახლე ეგონა თავი.

— რა გამოვიდა, პარკეტი ხელახლა დასაგებია, კარ-ფანჯარა გამოსაცვლელი, ლოჯია დასახურავი...

კარგი წუნმდებელივით დაუწყო შემოწმება იმ ბინას, რომელსაც გაიანე ოვანოვა და გიორგი მანველოვი პპირდებოდნენ აგაბაბიშვილს.

— გაიანეს ვენაცვალე, ახლა აი ეს სამასი მანეთი, ახალი ფულით, ძველი არ გეგონოს, — ღიმილით დასძინა ლილემ და ტაიცინა ასმანეთიანები ისე შეაპარა ხელში, თითქოს მოიბოდიშა, შენი სიკეთისათვის მეტიც გეკუთვნისო.

პიონერთა სასახლესთან თელების ხეივანს როგ გასცდნენ, რუსუდან გიგაურმა შეასწორო თვალი ტაბლოდ მოსაუბრე გაიანესა და ლილის და კეთილი ღიმილით მიუახლოვდა. სალამზე ადრე შეაგება გაიანემ რუსუდანს იმედიანი სიტყვა.

— აღრიცხვაზე აყვანილი ხარ, ყოველ შემთხვევაში შენ ახე ჩათვალე. გაიანე ოვანოვა არ ვიყო, თუ ოანვარში შენს ბინაში ახალხახლობაზე მრავალფამილრით ჭერი არ ავხადოთ.

— ახლად ნაშენები სახლის ჭერის ახდას დიდი რამე არ უნდა... — სიტყვა ჩაურთო წუნია აგაბაბიშვილმა. აი ცოტა კიდევ გამოსცდნენ პროსპექტს და პოტოიანს და ოგანენოვს შემოხვდნენ. „ეს რა ღვთის წყრომაა, მოიალაპარაკეს?" —გაუელვა თავში გაიანეს, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და იქვე უსიტყვოდ უკან ხელებშემწყობილ გიორგის სიტყვა მიუგდო: ამათ შენ შეხვდი და თვითეულს საიმედო რაიმე მაინც უთხარიო.

პოტოიანს და ოგანენოვს გიორგი ისე შეხვდა, როგორც კეთილ მეგობრებს. (ან რატომ არ შეხვდებოდა? ერთს ექვსასი მანეთი გამოართვა, მეორეს — ხუთასი).

— ისეთ ბინებში შეგიყვანთო, სიზმარშიც არ მოგელანდოთ...

— კი, მაგრამ როდისდა, ძმობილო?.. ამოიოხრა ერთმა.

— ნეტა ერთი ვეღირსოთ და... — თქვა მეორემ.

— ბიჭო, ჩემი სიტყვა ნოტარიუსის ბეჭედზე უფრო მაგარია! — თვითრეკლამას მიმართა გიორგიმ. — შე კაი კაცო, აგერ კარამანიანის მოცემული ხუთასი მანეთი მაქვს და, თუ გინდა, ახლავე დაგიბრუნებ უკან, იმასაც ბინა უნდა, თორემ ტყუილად ხომ არ მომცემდა... რაც მე ქალაქ თბილისში ბინები მაქვს დარიგებული, იმდენი წალკაში კარტოფილი არ მოჰყავთ. თქვენ ეგრე ნუ მიყურებთ, მე გიორგი მანველოვი ვარ...

— ვიცით, ვიცით, — მოწაფეებივით ერთხმად შესძახეს ბინას მოწადინებულებმა.

როცა გიორგომ და გაიანემ კლიენტები ჩამოიშორეს და გულდამშვიდებულნი გაისტუმრეს, ლაღიძის წყლებთან კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და წყნარი ბაანით გაჰყვნენ ქუჩას.

— ამბარცუმ ოგანიანს და ლუსია ამალოვას ორი ათას ორასი მანეთი „ვესხეხეთ", ცოტა ფული ადრეც გვქონდა, შეგროვილ-შექუჩებული. მოდი, ჩემო გაიანე, მოსკოვისკენ გაიარე! — უთხრა გიორგომ გაიანე ნერსესის ასულს და ნეტარი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

მოსკოვისა და ლენინგრადის მაღაზიები, გამყიდველები და გადამყიდველები არ დატოვეს, ათასი რამ შეიძინეს ოჯახისთვის...

ახლა უკან თბილისისაკენ მოჰქროდა მატარებელი, მოჰყავდა გიორგი და გაიანე... თბილისში კი მათ გულისფანცქალით ელოდნენ აგაბაბიშვილები, ოგანიანები, ამალოვები, გიგაურები...

ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ბინისმძებნელი ელოდა მოუთმენლად მათ, მაგრამ თვითონ გიორგი და გაიანე არ ელოდნენ, ნამდვილად არ ელოდნენ, თუ იმ დღეს მილიცია მიაკითხავდა...

ა. ბოცირიძე,
რ. დვალიშვილი.

„სიკვდილი ბუზებს"

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის ლაბორატორიაში მოვიდნენ არაჩვეულებრივი „სტუმრები": ბუზები შორეული ტაშკენტიდან. გადაწყვეტილი იყო მათზე ესინჯათ სხვადასხვა მომწამლავი პრეპარატები. როცა დდტ-იან კამერაში შეუშვეს, ისინი მშვიდად ფრენას განაგრძობდნენ და მრავლდებოდნენ. თურმე ბამბის მინდვრებს უზბეკეთში დდტ ფხვნილით ამუშავებენ, და ბუზები მიეჩვევნენ მას, ალარ იხოცებიან ამ ფხვნილით.

ინსტიტუტში ამას წინათ შეიმუშავეს ახალი შხამის — ქლოროფოსის რეცეპტურა. ეს წყალში გასახსნელი ტაბლეტებია. ახალ პრეპარატს ლაბორატორიის მუშაკებმა ხუმრობით ასეთი სახელი შეარქვეს — „სიკვდილი ბუზებს". სახელწოდება დაშორებული როდი ჰგშმარიტებას. საკმარისია, რომ მწერი არა მარტო დაჯდეს „დასაშვებ მოედანს" — წყლიან ლამბაქში ჩადებულ ჩვარს, არამედ თუნდაც გვერდით ჩაუფრინოს ქლოროფოსის ორთქლის მოქმედების ზონას, რომ მწესვე მოკვდეს. ერთი ასეთი გახსნილი ტაბლეტი ძალას ინარჩუნებს 15-17 დღის განმავლობაში.

წელს ქლოროფოსის ტაბლეტები მაღაზიების თაროებზე გამოჩნდება.

სააგენტო „ახალი ამბები".

თეატრები

22 ივნისი

რუსთაველის სახელობის — წვიმის გამყიდველი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **სანკულტურის** — დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა (აბონ. № 6), **ფილარმონიის საზაფხულო** — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტანსაცმლის მოდელების ჩვენება (დასაწყისი დღის 2 ს. და 5 ს.), ოდესის საესტრადო ორკესტრის კონცერტი (საღამოს 8 ს. და 30 წ.).

ფილოვიზია

22 ივნისი

18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „პოლკის შვილობილი", 19.30 — ნეშის პიესა „წვიმის გამყიდველის" ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. პირველ ანტრაქტში — გადაცემა — „ეიბრძოლოთ წარმოების რიტმულობისათვის", მეორე ანტრაქტში — ახალი ამბები.

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), **გაზაფხული** — შეიბმა შვიდეული (I-II სერია), **ისანი** (საზაფხულო) — ლურჯი ცის ნაგლეჯი,